ბოლო განახლების თარიღი: 15 ივლისი, 2026

კონფიდენციალურობის პოლიტიკა

შპს „ბალბი ჯფუფი“ (შემდგომში – **„BulBee“**, **„კომპანია“**, **„ჩვენ“**) უზრუნველყოფს თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავებას საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის პრინციპების შესაბამისად.

წინამდებარე კონფიდენციალურობის პოლიტიკა განმარტავს:

- რა ტიპის პერსონალურ მონაცემებს ვაგროვებთ;
- რა მიზნით და რა სამართლებრივი საფუძვლით ვამუშავებთ მათ;
- როგორ ვინახავთ და ვიცავთ თქვენს მონაცემებს;
- რა შემთხვევებში შეიძლება გადაეცეს მონაცემები მესამე პირებს;
- რა უფლებები გაქვთ თქვენი პერსონალური მონაცემების მიმართ და როგორ შეგიძლიათ მათი განხორციელება.

ვინ ვართ ჩვენ

შპს **„ბალბი ჯფუფი“** არის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული იურიდიული პირი და **Bulbee**-ის მფლობელი. კომპანია წარმოადგენს თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს.

Bulbee არის ონლაინ პლატფორმა, რომელიც აკავშირებს სტუდენტებსა და დამოუკიდებელ ტუტორებს, უზრუნველყოფს მათ შორის კომუნიკაციასა და სასწავლო პროცესის ეფექტიან მართვას.

პლატფორმის გამოყენებისას კომპანია ამუშავებს მხოლოდ იმ პერსონალურ მონაცემებს, რომლებიც აუცილებელია მომსახურების გაწევის, მომხმარებლის იდენტიფიკაციის, პლატფორმის უსაფრთხო ფუნქციონირებისა და კანონით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისთვის.

კომპანიის მონაცემები

- **დასახელება:** შპს „ბალბი ჯფუფი“
- **ვებგვერდი:** https://bulbee.ge
- **ელფოსტა:** admin@bulbee.ge
- **მისამართი:**
- **საიდენტიფიკაციო კოდი:**

პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებით შეკითხვის, მოთხოვნის ან თქვენი უფლებების განხორციელების მიზნით შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ზემოაღნიშნულ საკონტაქტო ელფოსტაზე.

რა პერსონალურ მონაცემებს ვაგროვებთ

Bulbee-ის გამოყენებისას, მომსახურების ტიპისა და თქვენი როლის (სტუდენტი ან ტუტორი) შესაბამისად, კომპანია ამუშავებს მხოლოდ იმ პერსონალურ მონაცემებს, რომლებიც აუცილებელია პლატფორმის ფუნქციონირების, მომსახურების გაწევისა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულებების შესასრულებლად.

ანგარიშის მონაცემები

ანგარიშის შექმნისა და მართვის მიზნით შესაძლოა დავამუშაოთ:

- სახელი და გვარი;
- ელფოსტის მისამართი;
- პაროლი (დაშიფრული/ჰეშირებული სახით);
- ანგარიშის შექმნის თარიღი;
- ელფოსტის დადასტურების სტატუსი;
- მესამე მხარის ავტორიზაციის სერვისის გამოყენების შემთხვევაში — შესაბამისი ანგარიშიდან მოწოდებული სახელი და ელფოსტის მისამართი.

ტუტორის პროფილის ინფორმაცია

ტუტორის ანგარიშის შექმნისა და მომსახურების გაწევის მიზნით შესაძლოა დამუშავდეს:

- პროფილის სახელი;
- მოქალაქეობა;
- სასწავლო ენები;
- სასწავლო საგნები;
- საათობრივი ანაზღაურება;
- ბიოგრაფია;
- კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ ინფორმაცია;
- პროფილის ფოტო;
- საბანკო ანგარიშის (IBAN) მონაცემები ანაზღაურების ჩარიცხვის მიზნით.

გაკვეთილებთან დაკავშირებული ინფორმაცია

პლატფორმის მომსახურების უზრუნველსაყოფად შესაძლოა დამუშავდეს:

- გაკვეთილების დაჯავშნის ინფორმაცია;
- გაკვეთილის თარიღი და დრო;
- ჯავშნისა და გაკვეთილის სტატუსი;
- ონლაინ გაკვეთილისთვის გენერირებული შეხვედრის (Google Meet) ინფორმაცია.

გადახდებთან დაკავშირებული ინფორმაცია

გადახდებთან დაკავშირებით შესაძლოა დამუშავდეს:

- გადახდის თანხა;
- ტრანზაქციის სტატუსი;
- Bulbee-ის ბალანსზე არსებული კრედიტები და მათი გამოყენების ისტორია.

კომპანია არ აგროვებს და არ ინახავს თქვენი საბანკო ბარათის მონაცემებს (მათ შორის ბარათის ნომერს, CVV/CVC კოდს ან მოქმედების ვადას). ბარათით გადახდა სრულად ხორციელდება ავტორიზებული საგადახდო მომსახურების პროვაიდერის მეშვეობით.

კომუნიკაცია და მხარდაჭერა

მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით შესაძლოა დამუშავდეს:

- პლატფორმის შიდა მიმოწერა;
- შეფასებები და გამოხმაურებები;
- მომხმარებელთა მხარდაჭერისთვის გამოგზავნილი შეტყობინებები.

მონაცემთა დამუშავების მიზნები

კომპანია ამუშავებს პერსონალურ მონაცემებს მხოლოდ კონკრეტული, კანონიერი და წინასწარ განსაზღვრული მიზნებისთვის. თქვენი პერსონალური მონაცემები შესაძლოა დამუშავდეს შემდეგი მიზნებით:

- მომხმარებლის რეგისტრაციისა და ანგარიშის მართვის მიზნით;
- მომხმარებლის იდენტიფიკაციისა და ავტორიზაციის უზრუნველსაყოფად;
- სტუდენტებისა და ტუტორების დაკავშირებისა და პლატფორმის სერვისების მიწოდების მიზნით;
- გაკვეთილების დაჯავშნის, დაგეგმვისა და მართვის უზრუნველსაყოფად;
- გადახდებთან დაკავშირებული პროცესებისა და ტუტორებისთვის ანაზღაურების ადმინისტრირების მიზნით;
- მომხმარებლებს შორის კომუნიკაციის უზრუნველყოფისთვის;
- მომხმარებელთა მხარდაჭერისა და ტექნიკური დახმარების გაწევის მიზნით;
- პლატფორმის უსაფრთხოების, თაღლითობის პრევენციისა და არასანქცირებული წვდომის თავიდან აცილების მიზნით;
- მომსახურების ხარისხის შეფასების, ანალიზისა და გაუმჯობესების მიზნით;
- საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისა და სამართლებრივი ინტერესების დაცვის მიზნით.

მონაცემთა დამუშავების სამართლებრივი საფუძვლები

კომპანია პერსონალურ მონაცემებს ამუშავებს მხოლოდ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სამართლებრივი საფუძვლების არსებობის შემთხვევაში.

მონაცემთა დამუშავების სამართლებრივი საფუძვლები მოიცავს:

- **ხელშეკრულების შესრულებას** – როდესაც მონაცემთა დამუშავება აუცილებელია **Bulbee**-ის მომსახურების გასაწევად, ანგარიშის მართვისთვის, გაკვეთილების ორგანიზებისა და პლატფორმის მომსახურების უზრუნველსაყოფად;
- **კანონიერი ვალდებულების შესრულებას** – როდესაც მონაცემთა დამუშავება აუცილებელია საქართველოს კანონმდებლობით დაკისრებული ვალდებულებების შესასრულებლად, მათ შორის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ფინანსური და საგადასახადო ვალდებულებების შესასრულებლად.
- **კომპანიის ლეგიტიმურ ინტერესს** – როდესაც მონაცემთა დამუშავება აუცილებელია პლატფორმის უსაფრთხოების, თაღლითობის პრევენციის, მომსახურების გაუმჯობესებისა და მომხმარებელთა მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად, იმ პირობით, რომ ეს არ ზღუდავს თქვენი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას;
- **თქვენს თანხმობას** – როდესაც კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში მონაცემთა დამუშავება ეფუძნება თქვენს წინასწარ და ნებაყოფლობით თანხმობას. ასეთ შემთხვევაში თქვენ უფლება გაქვთ ნებისმიერ დროს გამოიხმოთ თანხმობა, თუმცა ეს არ იმოქმედებს თანხმობის გამოხმობამდე განხორციელებული დამუშავების კანონიერებაზე.

მესამე პირებისთვის მონაცემთა გადაცემა

კომპანია თქვენს პერსონალურ მონაცემებს მესამე პირებს გადასცემს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეს აუცილებელია მომსახურების გაწევის, პლატფორმის ფუნქციონირების ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისთვის.

პერსონალური მონაცემები შესაძლოა გადაეცეს:

- **საგადახდო მომსახურების პროვაიდერებს –** მომხმარებლის მიერ ინიცირებული გადახდების დამუშავების მიზნით.
- **ავტორიზაციის, კომუნიკაციისა და ვიდეოკომუნიკაციის სერვისების მომწოდებლებს** – მომხმარებლის ავტორიზაციის, სისტემური შეტყობინებების გაგზავნისა და ონლაინ გაკვეთილების ორგანიზების მიზნით;
- **ღრუბლოვანი ჰოსტინგისა და ტექნიკური ინფრასტრუქტურის მომწოდებლებს** – პლატფორმის უსაფრთხო ფუნქციონირების, მონაცემთა შენახვისა და ტექნიკური მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად;
- **სახელმწიფო ორგანოებს** – მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში და შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის არსებობისას.

კომპანია არ ყიდის, არ აქირავებს და არ გადასცემს თქვენს პერსონალურ მონაცემებს მესამე პირებს მათი დამოუკიდებელი მარკეტინგული ან კომერციული მიზნებისთვის.

მონაცემთა შენახვის ვადა

კომპანია პერსონალურ მონაცემებს ინახავს მხოლოდ იმ ვადით, რომელიც აუცილებელია იმ მიზნების მისაღწევად, რისთვისაც მონაცემები დამუშავდა, ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულებების შესასრულებლად.

პერსონალური მონაცემები ინახება:

- მომხმარებლის ანგარიშის არსებობის განმავლობაში ან მის წაშლამდე;
- პლატფორმის საშუალებით განხორციელებულ გაკვეთილებთან, ჯავშნებსა და მომსახურებასთან დაკავშირებული ინფორმაციისთვის — მომსახურების გაწევის და შესაბამისი სამართლებრივი მიზნების არსებობის პერიოდში;
- მომხმარებელთა მხარდაჭერისთვის მიღებული ინფორმაციისთვის — შესაბამისი საკითხის განხილვისა და გადაწყვეტისთვის საჭირო ვადით.
- სხვა შემთხვევებში — მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ვადით.

მას შემდეგ, რაც მონაცემების დამუშავების მიზანი აღარ იარსებებს ან შენახვის ვადა ამოიწურება, კომპანია უზრუნველყოფს მათი წაშლას, ანონიმიზაციას ან უსაფრთხო განადგურებას, თუ მათი შემდგომი შენახვა კანონით არ არის მოთხოვნილი.

მონაცემთა უსაფრთხოება

კომპანია იღებს შესაბამის ტექნიკურ და ორგანიზაციულ ზომებს თქვენი პერსონალური მონაცემების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და მათ არასანქცირებული წვდომის, გამოყენების, ცვლილების, გამჟღავნებისა ან დაკარგვისგან დასაცავად.

პერსონალურ მონაცემებზე წვდომა აქვთ მხოლოდ უფლებამოსილ პირებს, რომელთაც ეს აუცილებელია მათი სამსახურებრივი მოვალეობების შესასრულებლად.

თქვენი უფლებები

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, თქვენ გაქვთ უფლება:

- მიიღოთ ინფორმაცია იმის შესახებ, ამუშავებს თუ არა კომპანია თქვენს პერსონალურ მონაცემებს;
- მოითხოვოთ თქვენს შესახებ დამუშავებული პერსონალური მონაცემების გაცნობა და მათი ასლის მიღება;
- მოითხოვოთ არაზუსტი ან არასრული პერსონალური მონაცემების გასწორება ან განახლება;
- კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში მოითხოვოთ თქვენი პერსონალური მონაცემების წაშლა ან მათი დამუშავების შეწყვეტა;
- კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში მოითხოვოთ პერსონალური მონაცემების დამუშავების შეზღუდვა;
- გააპროტესტოთ თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავება, როდესაც ამისთვის არსებობს კანონით განსაზღვრული საფუძველი;

- კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში გამოიხმოთ მონაცემთა დამუშავებაზე გაცემული თანხმობა, თუ დამუშავება სწორედ თანხმობას ეფუძნება.

თქვენი უფლებების განსახორციელებლად შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ წინამდებარე პოლიტიკაში მითითებული საკონტაქტო საშუალებების გამოყენებით. კომპანია თქვენს მოთხოვნას განიხილავს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

კონფიდენციალურობის პოლიტიკის ცვლილებები

კომპანია უფლებას იტოვებს, ნებისმიერ დროს განაახლოს ან შეცვალოს წინამდებარე კონფიდენციალურობის პოლიტიკა საქართველოს კანონმდებლობის, პლატფორმის ფუნქციონირების ან მომსახურების ცვლილებების შესაბამისად.

პოლიტიკის განახლებული ვერსია გამოქვეყნდება **Bulbee**-ზე და ძალაში შევა გამოქვეყნების მომენტიდან, თუ თავად პოლიტიკით სხვა რამ არ იქნება განსაზღვრული.

გირჩევთ პერიოდულად გაეცნოთ კონფიდენციალურობის პოლიტიკის განახლებულ ვერსიას.